



## მცხეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს

გ ა ნ კ ა რ გ უ ლ ე ბ ა №192

2016 წლის 20 სექტემბერი

### ქ. მცხეთა

„უკანასკნელ დღეთა წმინდანთა იესო ქრისტეს ეკლესიის ფონდის“ მიერ გამოყოფილი გრანტის მიღებაზე თანხმობის მისაღებად საქართველოს მთავრობის წინაშე შუამდგომლობით მიმართვის მიზნით, მცხეთის მუნიციპალიტეტის გამგეობისათვის თანხმობის მიცემის შესახებ.

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“ 61-ე მუხლის მე-2 ნაწილის, მე-100 მუხლის მე-5 და მე-7 ნაწილების, „საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის“ 59-ე მუხლისა და 61-ე მუხლის პირველი ნაწილის, მცხეთის მუნიციპალიტეტის გამგეობის 2016 წლის 24 აგვისტოს №7086 მომართვისა და საკრებულოს აპარატის საორგანიზაციო განყოფილების მთავარი სპეციალისტის მაია ლომოური-გედევანიშვილის 2016 წლის 6 სექტემბრის მოხსენებითი ბარათის (5/exzec\_index) საფუძველზე,

1. მიეცეს თანხმობა მცხეთის მუნიციპალიტეტის გამგეობას, „უკანასკნელ დღეთა წმინდანთა იესო ქრისტეს ეკლესიის ფონდის“ მიერ, მცხეთის მუნიციპალიტეტის სოფელ ახალდაბასა და სოფელ ადდგომლიანთკარში, წყალმომარაგების გაუმჯობესების მიზნით, ინფრასტრუქტურული პროექტების განსახორციელებლად გამოყოფილი 65.547 (სამოცდახუთი ათას ხუთას ორმოცდაშვიდი) აშშ დოლარის ოდენობის გრანტის მიღებაზე თანხმობის მისაღებად, საქართველოს მთავრობის წინაშე შუამდგომლობით მიმართვისათვის.
2. ძალადაკარგულად იქნას გამოცხადებული „უკანასკნელ დღეთა წმინდანთა იესო ქრისტეს ეკლესიის ფონდის“ მიერ გამოყოფილი გრანტის მიღებაზე თანხმობის მისაღებად საქართველოს მთავრობის წინაშე შუამდგომლობით მიმართვის მიზნით, მცხეთის მუნიციპალიტეტის გამგეობისათვის თანხმობის მიცემის შესახებ“ მცხეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2016 წლის 31 აგვისტოს №183 განკარგულება.
3. განკარგულება ძალაშია გაცნობისთანავე.
4. განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს მცხეთის რაიონულ სასამართლოში გაცნობიდან ერთი თვის ვადაში. მცხეთა, სამხედროს ქ №17.

საკრებულოს თავმჯდომარე



ჯემალ სოლოლაშვილი